რიჩარდ ფლენეგანი

ვიწრო გზა შორეული ჩრდილოეთისაკენ

დიდგვნელ
ბიბლიოთეკა

რიჩარდ ფლენეგანი
ვიწრო გზა შორეული ჩრდილოეთისაკენ

Richard Flanagan
THE NARROW ROAD TO THE DEEP NORTH

ინგლისურიდან თარგმნა გია ბერაძემ
რედაქტორი: ლალი ჭინჭარაული
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი
გარეკანზე გამოყენებულია მარიამ სინატაშვილის ნახატი

© Richard Flanagan, 2013
All rights reserved.
© სულაკაურის გამომცემლობა, 2017
© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-946-0

www.diogene.ge

პატიმარს, san byaku san jū go[1]*-ს*

1 პატიმარს, ნომერ 335-ს (იაპ.).

დედა, ისინი ლექსებს წერენ.

*პაულ ცელანი**

* სიტყვა „ისინი“ ეხება პატიმრებს, რომლებიც კატორღულ პირობებში ლექსებს წერდნენ.

ფუტკარი
მოცოცავს
პეონის კოკრიდან.
*ბაშო**

* მაცუო ბაშო (1644 – 1694) – იაპონელი პოეტი.

1

აი, რატომ იწყება ყოველთვის ყველაფერი სინათლით?! დორიგო ევანსის ყველაზე ადრეული მოგონება მზის სხივებით სავსე ეკლესიის დარბაზია, სადაც დედასა და ბებიასთან ერთად ზის. ხის ეკლესიის დარბაზი. დამაბრმავებელი სინათლე და თვითონ – დაბაჩუნობს აქეთ-იქით სხივებში, ხან სინათლის მიუწვდომელ სითბოს ეფიცხება, ხან კი შორდება მას და ქალების ხელებში აღმოჩნდება. ქალებისა, რომლებსაც უყვარდათ. იმას ჰგავს, ზღვაში რომ შედიხარ და მერე უკან, პლაჟის სილაზე ბრუნდები. ისევ და ისევ.

– ღმერთი გფარავდეს, – ეუბნება დედა და ხელს უშვებს, რომ იატაკზე გაიაროს, – ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო ბიჭო.

1915 თუ 1916 წელია. ერთი წლის იქნება, ან ორის. მერე აწეული მკლავის ჩრდილი ჩნდება, რომლის შავი კონტურიც ნავთის ლამპის ცხიმოვან სინათლეში კრთება. ჯეკი მაგვაირი ევანსების პატარა, ბნელ სამზარეულოში ზის და ტირის. მაშინ არავინ ტიროდა, პატარა ბავშვების გარდა. ჯეკი მაგვაირი ბებერი იყო. ორმოცის მაინც იქნებოდა, თუ მეტის არა. სულ ცდილობდა, ნაყვავილარი სახიდან ცრემლები ხელის ზურგით მოეწმინდა. თუ თითებით?

დორიგო ევანსს ხსოვნაში მისი ტირილიღა შემორჩა. ისეთ ხმას გამოსცემდა, გეგონება, რაღაც ტყდებაო. ქვითინის შენელებული რიტმი მახეში გაბმული ბოცვრის უკანა თათების მიწაზე ცემის ხმას მოაგონებდა – ეს იყო იმ ტირილის მსგავსი ერთადერთი ხმა, რომელიც კი ოდესმე გაეგონა. კაცმა რომ თქვას, შესადარებელიც ბევრი არაფერი ჰქონდა, ცხრა წლის იყო. სახლში შევიდა, რომ დე-

დისთვის ცერზე სისხლიანი ბებერა ეჩვენებინა. ადრე ზრდასრული კაცის ტირილი ერთადერთხელ ენახა. გამაოგნებელი სცენა იყო. ეს მაშინ მოხდა, როცა მისი ძმა ტომი დაბრუნდა საფრანგეთთან დიდი ომის შემდეგ და მატარებლიდან ჩამოვიდა. ჯარისკაცის ზურგჩანთა გვერდზე, გახურებულ მტვერში მიაგდო და უცებ ტირილი წასკდა.

დორიგო ევანსი ძმას უყურებდა და თავს იმტვრევდა, ნეტავ რამ შეიძლება, დიდი კაცი აატიროსო. მერე ტირილმა, უბრალოდ, გრძნობების გამოვლენის მნიშვნელობა შეიძინა, გრძნობები კი ერთადერთი კომპასია ცხოვრებაში. გრძნობები მოდური გახდა, ემოცია კი იქცა თეატრად, სადაც ადამიანები არიან მსახიობები, რომლებსაც დიდი ხანია დაავიწყდათ, ვინ იყვნენ სცენის მიღმა. დორიგო ევანსს იმდენი ხნის სიცოცხლე არგუნა ბედმა, რომ ყველა ამ ცვლილების მოწმე გამხდარიყო და მუდამ ხსომებოდა ის დრო, როცა ადამიანებს რცხვენოდათ ტირილისა, როცა მათ ეშინოდათ სისუსტის გამოვლენისა, რომლის ნიშანიც ცრემლები იყო, უბედურებისა, რომელსაც ისინი მოასწავებდა. ის კიდევ იცოცხლებს და ნახავს, რომ ადამიანები ისეთი რაღაცების ქებას დაიწყებენ, რაც სულ არ არის საქები. უბრალოდ, იმიტომ, რომ ჰგონიათ, ჭეშმარიტება ცუდად აისახება მათ გრძნობებზე.

იმ ღამით, როცა ტომი შინ დაბრუნდა, კაიზერის ფიტული დაწვეს კოცონზე. ტომს არაფერი მოუყოლია ომზე, გერმანელებზე, გაზზე, ტანკებზე, სანგრებზე, რომელთა შესახებაც სულ ესმოდათ. სულ არაფერი თქვა. ის, რასაც ერთი ადამიანი გრძნობს, ყოველთვის არ შეესაბამება იმას, რითაც სავსეა ცხოვრება. ხანდახან საერთოდ არც არაფერს შეესაბამება. ძმა, უბრალოდ, იჯდა და ცეცხლის ალს მიშტერებოდა.

2

ბედნიერ კაცს წარსული არა აქვს, უბედურს კი სხვა აღარაფერი დარჩენია. სიბერეში დორიგო ევანსს აღარ ახსოვდა, ამოიკითხა ეს სადმე თუ თვითონ შეთხზა. შეთხზა, აურ-დაურია და დაშალა. უმოწყალოდ დაშალა: ქვა – ღორღად, ღორღი – მტვრად, მტვერი – ტალახად, მერე ტალახი – ქვად. და ასე ბრუნავს სამყარო, როგორც ეტყოდა ხოლმე დედა, როცა მას სთხოვდა, აეხსნა, რატომ უნდა იყოს ცხოვრებაში ყველაფერი ასე და არა ისე. „სამყარო არსებობს, ის, უბრალოდ, არის, ჩემო ბიჭო," – ეტყოდა ხოლმე დედა. ბიჭი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, ქვა ქანიდან ამოეღო, რომ სათამაშო ფორტი აეგო, როცა მეორე ქვა, უფრო დიდი, ცერზე დაეცა და ფრჩხილის ქვეშ დიდი, სისხლიანი ბებერა დააჯდა.

დედამ დორიგოს სამზარეულოს მაგიდისკენ უბიძგა, სადაც ლამპის შუქი ყველაზე მკვეთრი იყო, ჯეკი მაგვაირის უცნაურად დაჟინებული მზერა არაფრად ჩააგდო და შვილის ცერა თითი სინათლესთან მიიტანა. ჯეკის ცოლი წინა კვირას მატარებელში ჩაჯდა მათ უმცროს შვილთან ერთად, ლონსესტონში გაემგზავრა და მას შემდეგ უკან არ დაბრუნებულა.

დორიგოს დედამ ხორცის საჭრელი დანა აიღო, რომელსაც წვერზე ცხვრის ქონის ყვითელი ზოლი ჰქონდა შერჩენილი. დანის წვერი სამზარეულოს ქურის ნახშირში ჩაყო. მსუბუქმა კვამლმა სამზარეულო ცხვრის დამწვარი ხორცის სუნით აავსო. დედამ დანა გამოიღო. გაწითლებული წვერიდან გავარვარებული, მბრწყინავი ნაპერწკლები ცვიოდა. დორიგოს ეს აჯადოებდა და თან შიშსაც ჰგვრიდა.

– არ გაინძრე, – უთხრა დედამ და ხელზე ისე მაგრად მოუჭირა, რომ გაუკვირდა კიდეც.

ჯეკი მაგვაირი უკვე მოუყვა მათ, როგორ გაემგზავრა საფოსტო მატარებლით ლონსესტონში, როგორ ეძებდა ცოლს ყველგან, მაგრამ ვერსად იპოვა. დორიგო უყურებდა დანის გავარვარებულ წვერს, რომელიც ფრჩხილზე შეეხო და კვამლი აუვიდა, როცა დე-

დამ ფრჩხილის ძირში ნახვრეტის ამოწვა დაიწყო. გაიგონა, როგორ თქვა ჯეკი მაგვაირმა:

– ის გაქრა პირისაგან მიწისა, მისის ევანს.

კვამლის შემდეგ ცერიდან სისხლის შავი ნაკადი წამოუვიდა და სისხლიანი ბებერას ტკივილი ისევე გაქრა, როგორც ხორცის საჭრელი დანის შიში.

– აბა, მოუსვი აქედან, – უთხრა დედამ დორიგოს და ხელით უბიძგა, —დაიკარგე აქედან, ჩემო ბიჭო.

– გაქრა, – წუხდა ჯეკი მაგვაირი.

ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როცა სამყარო დიდი იყო, ტასმანიის კუნძული კი მთელ სამყაროს იტევდა. ეს გახლდათ დრო მრავალი შორეული და მივიწყებული ფორპოსტისა, მათგან კი ცოტა თუ იყო შორეულ და მივიწყებულ, სულ ორმოცამდე ადამიანით დასახლებულ სოფელ კლივლენდზე პატარა, სადაც დორიგო ევანსი ცხოვრობდა. პატიმრების ძველმა, გამოსასწორებელმა დასახლებამ ძნელი დრო გამოიარა და მეხსიერებიდან გაქრა. ის ახლა შემორჩენილი იყო რკინიგზის ხაზის ტოტად – დანგრევის პირას მისული ერთი მუჭა გეორგიანული სტილის შენობები და ირგვლივ მიმოფანტული, ვერანდებით გარშემორტყმული ხის კოტეჯები თავშესაფარი იყო იმათთვის, ვინც გადასახლებისა და დანაკარგების ასწლეული გამოიარა.

სოფელში, რომელიც გარშემორტყმული იყო ტყიანი მიწებით, დაბრეცილი ევკალიპტებითა და ვერცხლისფერი მიმოზებით, მხურვალე ჰაერში რომ ირწეოდნენ და ცეკვავდნენ, ზაფხულში სიცხე და მძიმე პირობები იყო, ზამთარში კი – უბრალოდ, მძიმე პირობები. ელექტრობასა და რადიოს აქამდე ჯერ ვერ მოეღწია და თუმცა მეოცე საუკუნის 20-იანი წლები იდგა, მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი ან 50-იანი წლებისგან ვერაფრით გაარჩევდი. მრავალი წლის შემდეგ ტომმა, რომელსაც ალეგორიებისაკენ არ ჰქონდა მიდრეკილება, მაგრამ შეპყრობილი იყო მოახლოებული სიკვდილისა (ყოველ შემთხვევაში, დორიგო მაშინ ასე ფიქრობდა) და მისი თანმხლების, სიბერის, საშინელების გამო ძრწოლით, რომელიც მთელ

ცხოვრებას ალეგორიად აქცევს, სინამდვილეს კი რაღაც არაამ-ქვეყნიურად, ეს ყველაფერი ასე შეაფასა – მომაკვდავი სამყაროს გრძელ შემოდგომას ჰგავსო.

მათი მამა სარკინიგზო ხაზების შემკეთებელი იყო, მათი ოჯახი კი ტასმანიის სახელმწიფო რკინიგზის ფიცრულ სახლში ცხოვრობ-და იქვე, რელსებთან ახლოს. ზაფხულობით, როცა წყალი აღარ ჰქონდათ, ორთქლმავლის ლოკომოტივის შესავსები ავზიდან ეზი-დებოდნენ. ღამით მახეში გაბმული ოპოსუმის ტყავებს იხურავ-დნენ. ძირითადად, იკვებებოდნენ ბოცვრებით, რომლებსაც ხაფან-გებით იჭერდნენ, და კიდევ – ნანადირევი კენგურუ-ვალაბებით, თავიანთივე მოყვანილი კარტოფილით და თავიანთივე გამომცხვა-რი პურით. მამას, რომელსაც 1890-იანი წლების კრიზისი ჰქონდა გადატანილი და საკუთარი თვალით ენახა, როგორ იხოცებოდნენ ჰობარტის ქუჩაზე ადამიანები შიმშილით, დაჯერებაც კი უჭირდა, რომ გაუმართლა, გადარჩა და საბოლოოდ მუშების ამ სამოთხე-ში დამკვიდრდა, თუმცა როცა პესიმიზმი მოეძალებოდა, იტყოდა ხოლმე, კაცი ძაღლურად ცხოვრობს და ძაღლურად კვდებაო.

დორიგო ევანსი ჯეკი მაგვაირს არდადეგებზე ხვდებოდა ხოლ-მე, რომლებსაც ის ხანდახან ტომთან ატარებდა. ტომამდე რომ მიეღწია, ამისათვის ჯო პაიკის საზიდრისთვის უნდა მიესწრო, უკან შემოსჯდომოდა და კლივლენდიდან ფინგალველის მოსახვევამდე ემგზავრა. სანამ ჯო პაიკის ბებერი საჯაგავი ცხენი, რომელსაც პატრონი გრეისის ეძახდა, სასიამოვნოდ მითოხარიკობდა, დორიგო წინ და უკან ირწეოდა და წარმოსახვა ხეების დაკორძილ ტოტად აქცევდა. ევკალიპტები გაშმაგებით ირხეოდნენ, მის თავს ზემოთ ღრმა ლურჯ ცას ეხებოდნენ და წინ მიფრინავდნენ. ხის ნოტიო ქერქის და მშრალი ფოთლების სუნი სცემდა და გასცქეროდა წი-თელ-მწვანე მუშკიან ლორი-თუთიყუშებს, რომლებიც შორს, მაღ-ლა დაფრინავდნენ. ტკბებოდა ღობემძვრალებისა და თაფლიჭა-მიების გალობით, ჩაესმოდა რომელიღაც მტაცებელი ჩიტის ხმა, შოლტის ტკაცუნის მსგავსი, რომელიც გრეისის ჩლიქების თანაბარ ბაკუნს, საზიდრის ღერძის ღრჭიალს, ტყავის ღვედის ჭრიალსა და

რკინის ჯაჭვის ჟღრიალს ერწყმოდა. ეს იყო შეგრძნებების მთელი სამყარო, რომელიც შემდეგ სიზმრებში უკან უბრუნდებოდა.

კარეტების ძველ გზას მიჰყვებოდნენ. ჩაუვლიდნენ კარეტების სასტუმროს, რომელიც რკინიგზამ გააკოტრა. იგი თითქმის ნანგრევებად იყო ქცეული და შიგ რამდენიმე გაღატაკებული ოჯახი ცხოვრობდა, მათ შორის – ჯეკი მაგვაირისაც. რამდენიმე დღეში ერთხელ მტვრის ღრუბელი აღიმართებოდა ხოლმე, რაც მანქანის მოახლოების მაუწყებელი იყო. ბავშვები ბუჩქებიდან და კარეტების ქოხებიდან გამოცვივდებოდნენ და მანქანას ყვირილით მისდევდნენ, მანამდე, ვიდრე ფილტვები გაუძლებდათ და ფეხები ტყვიასავით დაუმძიმდებოდათ.

ფინგან ველის მოსახვევთან დორიგო საზიდრიდან ჩამოხტებოდა, ჯოს და გრეისის დამშვიდობების ნიშნად ხელს დაუქნევდა და ფეხით გაემართებოდა პატარა ქალაქ ლეველინისკენ, რომელიც, ძირითადად, იმით გამოირჩეოდა, რომ კლივლენდზე უფრო პატარა იყო. როცა ლეველინში ჩავიდოდა, საძოვრების გავლით პირდაპირ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაემართებოდა და თოვლით დაფარული ბენ ლომონდის უზარმაზარი მთებისკენ აიღებდა გეზს. ეს გახლდათ თოვლიანი ქვეყანა ბენის გადაღმა, სადაც ტომი ორი კვირა ოპოსუმებისთვის მახეების დამგებად მუშაობდა, ერთი კვირა კი ისვენებდა. ნაშუადღევს ტომის სახლში მიდიოდა, გამოქვაბულში, ქედის ხაზის ქვემო განშტოებაში, სადაც მისი ძმა იყო ჩაბუდებული. გამოქვაბული უამრავი ხარახურით გამოჭედილ მათ სამზარეულოზე ოდნავ პატარა იყო. მის ყველაზე მაღალ ადგილზე ტომს შეეძლო, წამომდგარიყო, თუკი თავს დაღუნავდა. გამოქვაბული ორივე მხარეს კვერცხივით ვიწროვდებოდა. შესასვლელთან ფარდა ეკიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცეცხლი შეიძლება მთელ ღამეს ყოფილიყო დანთებული და გამოქვაბული გაეთბო.

ხანდახან ტომი, რომელიც უკვე რამდენიმე წელი იყო, ოცს გადასცდა, მუშაობისას მეწყვილედ ჯეკი მაგვაირს ირჩევდა. ტომს კარგი ხმა ჰქონდა და ღამით ხშირად მღეროდა, შემდეგ კი ცეცხლის შუქზე დორიგო წერა-კითხვის უცოდინარ ჯეკი მაგვაირს და

ტომს, რომელიც ამტკიცებდა, კითხვა ვიციო, ხმამაღლა უკითხავდა „ბულეტინის“ ან „სმითს უიკლის“ რომელიმე ძველ ნომერს, რომლებიც ორი ოპოსუმებზე მონადირის ბიბლიოთეკას შეადგენდა. მოსწონდათ, როცა დორიგო „დეიდა როუზის რჩევების“ რუბრიკიდან წაუკითხავდა რამეს, ან კიდევ – ბალადებს ბუშის[1] ცხოვრებიდან, რომლებსაც ისინი „გონივრულად“ მიიჩნევდნენ, ხანდახან კი სულაც „ძალიან გონივრულად“. გარკვეული დროის შემდეგ დორიგომ სხვა ლექსების დაზეპირებაც დაიწყო თავისი სკოლის წიგნიდან „ინგლისური პარნასი“. განსაკუთრებით ტენისონის „ულისე“ შეუყვარდათ.

კოცონის შუქზე ნაყვავილარი სახე იცინის, ახალგამომცხვარი ქლიავის პუდინგივით ლაპლაპებს.

– აი, ძველი ხალხი იყო, თუ იყო, – უყვარდა თქმა ჯეკი მაგვაირს, – ბოცვრის დასახრჩობ მარყუჟზე მაგრა შეკრავდნენ ხოლმე სიტყვებს!

დორიგოს ტომისთვის არ უთქვამს, რა დაინახა მისის მაგვაირის გაუჩინარებამდე ერთი კვირით ადრე: როგორ შეუყო ხელი მისმა ძმამ ქალს კაბის ქვეშ, მაშინ, როცა ის (პატარა, ძლიერი, ეგზოტიკურად შავტუხა) კარეტების ფარდულის უკან საქათმეს მიეყრდნო. ტომმა თავი ქალის კისერში ჩარგო. დორიგო მიხვდა, რომ მისი ძმა მისის მაგვაირს კოცნიდა.

მრავალი წლის განმავლობაში დორიგო ხშირად იგონებდა მისის ჯეკი მაგვაირს, რომლის სახელი არ იცოდა და ეს ნამდვილი სახელი ჰგავდა საჭმელს, რომელიც ყოველდღე ესიზმრებოდა ტყვეთა ბანაკში: თითქოს იყო, მაგრამ არც იყო. თავის ქალაზე აწვებოდა რაღაც, რაც მისკენ ხელის გაწვდენისთანავე ქრებოდა. დრო გადიოდა და იმ ქალზე ისე ხშირად აღარ ფიქრობდა, ბოლოს კი მასზე ფიქრი სულ შეწყვიტა.

---

[1] ბუში – ავსტრალიაში: ბუჩქნარითა და დაბალი ხეებით დაფარული უკიდეგანო დაუსახლებელი სივრცეები (სტეპის ან პრერიის მსგავსი).

3

დორიგომ, ერთადერთმა ოჯახში, თორმეტი წლისამ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ უნარების ტესტი[2] დაძლია და სტიპენდია მიიღო, რაც საშუალებას აძლევდა, ლონსესტონის საშუალო სკოლაში ესწავლა. იქ ასაკგადასულად გამოიყურებოდა. პირველ დღეს, სადილის შესვენებაზე, შეეხეტა ეგრეთ წოდებულ ზედა ეზოში, დამჭკნარი ბალახით და მტვრით, ხის ქერქით და ფოთლებით სავსე სწორ ადგილას. ერთ ბოლოში რამდენიმე დიდი ევკალიპტი იდგა. უყურებდა, როგორ დგებოდნენ ერთმანეთის პირისპირ ორ ბობოქარ რიგად მესამე და მეოთხეკლასელი ბიჭები, მათგან ზოგი უკვე ბაკენბარდებით, კაცებივით განვითარებული კუნთებით, და ძიძგილაობდნენ, ბღლარძუნობდნენ, თითქოს რაღაც რიტუალური ცეკვის მოძრაობებს ასრულებდნენ. შემდეგ თამაშის მაგია და დარტყმაზე დარტყმა იწყებოდა. რომელიღაც ბიჭი ბურთს დაარტყამდა და მას თავისი რიგიდან ეზოს გავლით სხვა რიგში გზავნიდა. მერე ამ რიგის ყველა ბიჭი ერთად გარბოდა ბურთისკენ და თუ ის მაღლა მიფრინავდა, ხტებოდნენ და დაჭერას ცდილობდნენ. ის, ვინც გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჩათვლის ზონასთან ახლოს ბურთის ხელში ჩაგდებასა და მის ნიშნულს იქით დამიწებას შეძლებდა, უცებ წმინდანი ხდებოდა. და მას, ბედის ნებიერს, ჯილდო ერგებოდა: დარტყმით ბურთს უკან, მეორე რიგისკენ დააბრუნებდა, სადაც ყველაფერი მეორდებოდა.

და ასე გრძელდებოდა თამაში მთელი შესვენების განმავლობაში. ყოველთვის დიდი ბიჭები სჯობნიდნენ. ყველაზე ხშირად ისინი ახერხებდნენ გარღვევას ნიშნულისაკენ, ისინი იღებდნენ უფლებას,

---

[2] დიდ ბრიტანეთსა და მის კოლონიებში დაწყებითი სკოლის ხუთკლასდამთავრებულები აბარებდნენ გამოცდას, ე. წ. „თერთმეტ პლუსს“, რომლის შედეგების მიხედვითაც ზოგს ეძლეოდა საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლება, სხვებს კი პროფესიულ სასწავლებლებში უწევდათ სწავლა.

ჯარიმების უმეტესობა დაერტყათ. ზოგ უმცროს ბავშვს მხოლოდ რამდენიმე გარღვევა და დარტყმა ჰქონდა შესრულებული, ბევრს – თითო-თითო, ან საერთოდ არცერთი.

პირველ დღეს დორიგოს მთელი შესვენების განმავლობაში თამაშისთვის თვალი არ მოუშორებია. ერთი მასავით პირველკლასელი არწმუნებდა, მეორე კლასში მაინც უნდა გადახვიდე, რომ შანსი მოგეცეს, დარტყმაზე დარტყმით უპასუხოო. უფროსი ბიჭები ძალიან ძლიერები და სწრაფები იყვნენ. არავის დაზოგავდნენ, შეიძლება იდაყვი თავში მოერტყათ, ან მუშტი – სახეში, ანდა მუხლი ჩაეზილათ ზურგში, ოღონდ კი მოწინააღმდეგისთვის თავი დაეღწიათ. დორიგომ შენიშნა, რომ რამდენიმე უმცროსი ბიჭი მოთამაშეების უკან დასუნსულებდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან და მზად იყვნენ, ბურთი წაეგლიჯათ, თუ ის დარტყმის შემდეგ ძალიან მაღლა წავიდოდა და მორკინალებს თავზე გადაუფრენდა.

მეორე დღეს მათ რიგებს შეუერთდა. მესამე დღეს კი პირდაპირ მოთამაშეების უკან აღმოჩნდა და მათი ზურგის მიღმა გაარჩია, როგორ მოფრინავდა მისკენ რაღაც ზემოდან სალტოებით და მიხვდა, რომ ეს ბურთი მისი ნადავლი უნდა გამხდარიყო. მან იგრძნო ჭიანჭველების შარდის სუნი ევკალიპტებზე, იგრძნო, როგორ გაიქცნენ და დაიფანტნენ აქეთ-იქით მათი ტოტების თოკისებრი ჩრდილები, როცა ის წინ, მოთამაშეებისკენ წაიწია. დრო შენელდა. მათ შიგნით ზუსტად ის ადგილი მოძებნა, რომელიც სჭირდებოდა, ადგილი, სადაც ახლა ყველაზე მაღალი და ყველაზე ძლიერი ბიჭები მიცვივდნენ. მიხვდა, რომ მზიდან მომფრინავი ბურთი მისთვის იყო განკუთვნილი და მარტო ის მოეთხოვებოდა, მაგრად მდგარიყო. მისი მზერა მხოლოდ ბურთისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, თუ ისე სწრაფად არ გაიქცეოდა, როგორც შეეძლო. ამიტომ ახტა. მისი ფეხები ვიღაც ბიჭს დაახტა ზურგზე, მუხლები – ვიღაცის მხრებს და ასე აძვრა დამაბრმავებელ მზის სხივებში ყველა სხვა ბიჭზე მაღლა. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში მისი ხელები მაღლა აიწია. იგრძნო, რა მყარად მოექცა მის ხელისგულებში ბურთი და მიხვდა, რომ უკვე შეეძლო მზიდან ვარდნის დაწყება.

გულზე მაგრად მიკრული ბურთით მიწას ზურგით ისე ძლიერად დაასკდა, კინაღამ სუნთქვის უნარი წაერთვა. სული ძლივს მოითქვა, წამოხტა და ოვალური ბურთით ხელში სინათლის ნაკადში დადგა, ახალ დიდ სამყაროში შესასვლელად მზადმყოფი.

უკან კოჭლობით რომ ბრუნდებოდა, უმცროსები გზას მოწიწებით უთმობდნენ.

– შენ ვინ ოხერი ხარ? – ჰკითხა ერთმა უფროსმა ბიჭმა.

– დორიგო ევანსი.

– მაგარი იყო, დორიგო, შენი დარტყმაა.

ევკალიპტის ქერქის სუნი, ტასმანიის შუადღის კაშკაშა ლურჯი მზე, ისეთი მკვეთრი, თვალების მოჭუტვა მოუხდა, რომ თვალი არ მოსჭროდა. მზის მხურვალება დაჭიმულ კანზე, სხივების მკვეთრი, მოკლე ჩრდილები, შეგრძნება, რომ ახალ სამყაროში სიხარულით შესვლის ზღურბლზე დგახარ, მაშინ, როცა ისევ შეგიძლია, შენი ძველიც შეიგრძნო და შეინარჩუნო. რომ ის ჯერ არ არის დაკარგული. ამ ყველაფერს განიცდიდა, ამ ყველაფერს აღიქვამდა, ისევე, როგორც მხურვალე მტვერს, სხვა ბიჭების ოფლს, სიცილს, სხვებთან ერთად ყოფნის უჩვეულო, წმინდა სიხარულს.

– დაარტყი! – გაიგონა ვიღაცის ყვირილი. – დაარტყი, სანამ ზარი დარეკილა და ყველაფერი დამთავრებულა!

და დორიგო ევანსი თავისი არსების ყველაზე ფარულ სიღრმეებში გრძნობდა, რომ მთელი მისი ცხოვრება იყო მოგზაურობა სწორედ ამ წერტილისკენ, როცა ის ერთი წამით მზისკენ გაფრინდა, ამიერიდან კი, დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში, მნათობთან განშორება და მისგან შორს მოგზაურობა მოუწევდა. აღარასოდეს არაფერი წარმოუდგებოდა ასეთ რეალობად. ცხოვრება მისთვის აღარასოდეს აღივსებოდა ასეთივე აზრით.